ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 33 (6594)

17 თებერვალი. 1980 წ. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



**ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები**

## არის მეორე ოქროს მედალი! • ზოზულია მიზანთან ახლოა • თამაშების მასპინძლები კრიტიკის ქარცეცხლში

# რ. სმეტანინა — უძლიერესი

**ზამთრის** ოლიმპიადის მეორე დღეს თხილამურებით 5 კილომეტრზე რბენაში ქალები არკვევდნენ ურთიერთობას. წილისყრამ აშკარად არ გაუმართლა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გ. კულაკოვას — იგი სტარტიდან მეცხრე ნომრით გავიდა და, ცხადია, ასეთ მოკლე დისტანციაზე არ შეეძლო მოწინააღმდეგეების მაჩვენებლების გათვალისწინებით რბოლის წარმართვა.

უკვე 1600-მეტრიან მონაკვეთზე იუევსკელი კულაკოვა და ესტაფეტაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, წინა ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული ნ. ბალდიჩევა (ლენინგრადი) უკვე ჩამორჩებოდნენ მ. როსტოკს (გდრ) და ჰ. რიჰივუორის (ფინეთი). მერე ლიდერობა ხელთ იგდო ბ. პეტცოლდმა (გდრ). როცა ფინიშამდე 200 მეტრი დარჩა, ყველაზე წინ იყო ფინელი მოთხილამურე. იგი უახლოეს მდევარს, 10 კილომეტრზე რბენას და ესტაფეტაში წინა ოლიმპიადის ჩემპიონს, სიქტივკარელ სპორტის დამსახურებულ ოსტატს **რ. სმეტანინას** 2 წამს უგებდა, მაგრამ საბჭოთა მოთხილამურემ დარჩენილ მანძილზე თითქმის შეუძლებელი შეძლო — საბოლოო ჯამში 5 წამით აჯობა „ოქროს“ პრეტენდენტს. ამრიგად **რ. სმეტანინამ** XIII თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო. ეს იყო საბჭოთა ნაკრების მეორე უმაღლესი ხარისხის ჯილდო ოლიმპიადაზე. **რიჰივუორი** მეორე ადგილს დასჯერდა. „ბრინჯაო“ ამ შეჯიბრებაში **კ. იაროვამ** (ჩეხოსლოვაკია) მიიღო. ექვსეულში მათ გარდა შევიდნენ: პეტცოლდი, ბალდიჩევა და კულაკოვა.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადებისა და მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ამ მანძილზე ისეთი მაღალი შედეგი, როგორიც სმეტანინამ მოიპოვა (15.06,92), აქამდე არავის უჩვენებია.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** რ. სმეტანინა.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

# ყველაზე მოკლე დისტანციაზე

**ლეიკ-პლესიდის** ყინულის ოვალზე ციგურებით სწრაფრბენაში ვაჟებმა მედლები გაინაწილეს 500 მეტრზე რბოლაში. ამერიკელმა **ე. ჰაიდენმა,** რომელსაც 1977 წლიდან არც ერთ დიდ შეჯიბრებაში მარცხი არ განუცდია, აქაც დაადასტურა, რომ სადღეისოდ მსოფლიოში ყველაზე სწრაფი და ტექნიკურად დახვეწილი ოსტატია. მართალია, მას სწორედ ამ მანძილზე ინსბრუკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონისა და მსოფლიო რეკორდსმენის, ლენინგრადელი სპორტის დამსახურებული ოსტატის ე. კულიკოვის, ჰოლანდიელი ლ. დე ბოერის და სხვათა სახით ძლიერი მეტოქეები ჰყავდა, მაგრამ ჰაიდენმა ყველაზე მაღალი შედეგი — 38,03 წამი აჩვენა.

ე. კულიკოვი გამარჯვებულს 0,34 წამით ჩამორჩა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. „ბრინჯაოს“ ჰოლანდიაში წაიღებს **დე ბოერი** — 38,48.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ე. ჰაიდენი და ე. კულიკოვი (მარჯვნივ) დისტანციაზე.

**საკდესი-საქინფორმის** ტელეფოტო.



# ლიდერი პოზიციებს ინარჩუნებს

**ვანჰოვენ-ბერგის** ტრასაზე გაიმართა ერთადგილიანებით მოციგურავეთა მესამე დაშვება, რომელმაც ქალთა შორის ადგილების გადანაწილებაში ერთგვარი ცვლილება შეიტანა. ეს პროცესი ლიდერს — ვ. ზოზულიას არ შეხებია, ვინაიდან იგი ამ დღესაც წარმატებით დაეშვა და პირველობას ინარჩუნებს. სამაგიეროდ, საფეხურით დაიწია ი. ამანტოვამ, რომელიც II ადგილზე იყო. სამი დაშვების ჯამში II ადგილზეა მსოფლიო ჩემპიონი ზოლმანი (გდრ).

ყველაფერს ბოლო, მეოთხე ცდა გაარკვევს.

# თამაშების ტაბლო

14 თებერვალი. ვაჟები. სათხილამურო რბოლა 30 კმ. ნ. ზიმიატოვი — 1:27.02,80, ვ. როჩევი (ორივე — საბჭოთა კავშირი) — 1:27.34,22, ი. ლებანოვი (ბულგარეთი) — 1:28.03,87, ტ. ვასბერგი (შვეცია) — 1:28.40,35, ი. ლუშჩეკი (პოლონეთი) — 1:29.03,64, მ. პიტკიაინენი (ფინეთი) — 1:29.35,03... 11. ე. ბელიაევი — 1:30.35,32... — 14. ნ. ბაჟუკოვი (ორივე—სსრ კავშირი) — 1:31.06,28.

ქალები. ციგურებით რბენა. 1500 მ. ა. ბორკინკი — 2.10,95 (მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდი), რ. ფისერი (ორივე — ჰოლანდია) — 2.12,35, ს. ბეკერი (გდრ) — 2.12,38, ბ.-ე. იენსენი (ნორვეგია) — 2.12,59, ს. ფილიპსონი (შვეცია) — 2.12,84, ა. მიჩერლიხი (გდრ) —2.13,05... 8. ნ. პეტრუსევა — 2.14,15... 18-19. ტ. ბარაბაში და ვ. ბრინძეი (ყველა — სსრ კავშირი) — 2.16,32.

ვაჟები. სწრაფდაშვება. (3009 მ, 832 მ). ლ. სკოტი — 1.45,50, პ. ვინსბერგერი (ორივე—ავსტრია) — 1.46,12, ს. პოდბორსკი (კანადა) — 1.46,62, პ. მიულერი (შვეიცარია) — 1.46,75, პ. პატერსენი (აშშ) — 1.47,04, გ. პლანკი (იტალია) — 1.47, 13.... 8. ვ. ციგანოვი — 1.47,34... 22. ვ მაკეევი (ორივე — სსრ კავშირი) — 1.49,87.

15 თებერვალი. ქალები. 5 კმ. რ. სმეტანინა (სსრ კავშირი) — 15.06,92, ჰ. რიჰივუორი (ფინეთი) — 15.11,96, კ. ეროვა (ჩეხოსლოვაკია) — 15.23,44, ბ. პეტცოლდი (გდრ) — 15.23,62, ნ. ბალდიჩევა — 15.29,02, გ. კულაკოვა (ორივე — სსრ კავშირი) — 15.29,58... 19. ნ. როჩევა (საბჭოთა კავშირი) — 15.50,39.

# აკრიტიკებენ ორგანიზატორებს

**ოსლო.** ნორვეგიის პრესა აკრიტიკებს ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს.

ნორვეგიის ყველა გაზეთი აღნიშნავს ტრანსპორტის პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან ოლიმპიური თამაშების გასაშუქებლად ჩასული ჟურნალისტები. „დაგბლადეტი“ წერს: „ლეიკ-პლესიდში ჩამოსული ჟურნალისტებისთვის შექმნილი პირობები ხიადამაყმაყოფილებელია“... ჟურნალისტები იძულებული არიან სიცივეში საათობით უცადონ ავტობუსს, რათა მისი მოსვლის შემდეგ თავი ამოჰყონ სულ სხვა ადგილას და არა იქ, სადაც მათ უნდოდათ მოხვედრა“.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენ მზად ვართ“ — ასე ესალმებიან ზამთრის ოლიმპიადის მონაწილეებს ლეიკ-პლესიდში. „უკაცრავად, ლეიკ-პლესიდო, მაგრამ თქვენ არ ხართ მზად და ჩვენ ვერ ვგრძნობთ თავს კარგად“, — წერს ნორვეგიის უდიდესი გაზეთის „აფტენპოსტენის“ სპორტული რედაქტორი ლეიფ ჰიუსბი.

იგი აღნიშნავს, რომ „ოლიმპიური სარბიელი სავსეა არა მარტო დროშებითა და თამაშების ემბლემებით, არამედ ავტობუსების მომლოდინე გათოშილი სტუმრებით.

ბევრი სპორტსმენი, აღნიშნავენ ნორვეგიის გაზეთები, უკმაყოფილოა ოლიმპიური სოფლით, რომელიც შემდგომში ციხედ იქნება გამოყენებული. „სანამ ჩვენი ხელმძღვანელები არ წამიყვანენ ამ საშინელი სოფლიდან, მე არ ვიასპარეზებ 5-კილომეტრიან გარბენში“, — განაცხადა მოთხილამურე ანეტ ბოემ.

**ნიუ-იორკი.** ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გაშუქებისას ამერიკის პრესა ყურადღებას ამახვილებს ტურისტებისა და პრესის წარმომადგენელთა შეჯიბრებაზე მიყვანის უკიდურესად ცუდ ორგანიზაციაზე.

როგორც გაზეთი „ნიუსდეი“ აღნიშნავს, დაპირებული 300 ავტობუსის ნაცვლად ორგანიზატორებმა შეძლეს მხოლოდ... 10 ავტობუსის გამოყოფა. „ოლიმპიური შეჯიბრებების პირველ დღეს, — აღნიშნავს გაზეთი „ბოსტონ გლობი“, — ათასობით ადამიანი იძულებული იყო საათ-ნახევარზე მეტი ეცადა ტრანსპორტისთვის. გეგმის მიხედვით კი ავტობუსები 15 წუთში ერთხელ უნდა გასულიყვნენ“. გაზეთი წერს, რომ ამ გადაყვანაზეა დამოკიდებული ათასობით ტურისტი, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებზე ბილეთები შეიძინეს, მაგრამ ლეიკ-პლესიდში ადგილების უკმარისობის გამო იძულებული გახდნენ დაბინავებულიყვნენ შეჯიბრების ადგილიდან ათობით, ხანდახან ასი კილომეტრის მოშორებით.

სარეკლამო ფარებით გადატვირთვისა და საჩვენებელ ნიშნებში არევ-დარევის გამო, ჩამოსულებს უძნელდებათ გზის მონახვა შეჯიბრების ადგილისკენ.

**ფინეთის** სატელეგრაფო ბიუროს კორესპონდენტი იტყობინება, რომ ტრანსპორტის ცუდი მუშაობის გამო არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ არა მარტო მაყურებლები, არამედ სპორტსმენებიც. „თამაშების გახსნის დღეს, — წერს კორესპონდენტი, — სპორტსმენები დროულად ჩასვეს ავტობუსებში, მაგრამ 17-კილომეტრიან გზის გავლას საათ-ნახევარი დასჭირდა. უარესი მდგომარეობა იყო უკან დაბრუნებისას. ფინეთის ოლიმპიური გუნდი 5 საათი მოუნდა თავის ბაზაში დაბრუნებას“.

**დასავლეთ** გერმანიის გაზეთ „ბერლინერ მორგენპოსტის“ სპორტული რეპორტიორი აღშფოთებით წერს ლეიკ-პლესიდის ოლიმპიური თამაშების ცუდ ორგანიზაციაზე. აღნიშნავს, რომ ოლიმპიადაზე ფაქტიურად სრულიად პარალიზებულია ტრანსპორტი. „აქ ხშირად ნახავთ სურათს, — წერს რეპორტიორი, — როცა გზის პირზე დგანან ადამიანები, რომლებიც აქნევენ საკრედიტაციო ბარათებს და ცდილობენ გააჩერონ ავტომანქანები, მაგრამ ამაოდ“.

ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციაში არსებულ ბევრ სხვა ნაკლოვანებებსაც აღნიშნავს „ბერლინერ მორგენპოსტის“ რეპორტიორი და იმ დასკვნამდე მიდის, რომ: „აქ არის მხოლოდ ერთი ადგილი, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ იგი შესანიშნავად მუშაობს — ეს არის ბუფეტი ყინულის სტადიონზე. აქ ნებისმიერ დროს აქვთ... ცივი ყავა და თბილი ლუდი“.

**გაზეთ** „მაიამი გერალდ სპორტსის“ რედაქტორი ედ პოუპი წერს, რომ მონრეალის ოლიმპიადაზე ყველაფერი ვერ იყო წესრიგში, მაგრამ იმასთან შედარებით რაც აქ ხდება, მონრეალი სასიამოვნო მოსაგონარია“. „შესაძლოა, ჩვენ ბოიკოტს ვუცხადებთ არა იმ ოლიმპიადას?“ — შენიშნა, როგორც იუპი იტყობინება, ერთ-ერთმა მისმა ნიუ-იორკელმა კოლეგამ... (საკდესი).

•



**ს უ რ ა თ ზ ე:** თეთრ ოლიმპიადაზე გამარჯვებულთა აღსანიშნავი ფეიერვერკი.

საკდესი-საქინფორმის ტელე-




# დირექტორის მისაბაძი მაგალითი

**თბილისის** ინდუსტრიული ტექნიკუმი. შესასვლელში — ფოტოსტენდი. სპორტის მოყვარული უმალ იცნობ საქართველოს, სსრ კავშირისა და ევროპის ტურნირების ჩემპიონებსა და პრიზიორებს — ამ სასწავლებელში აღზრდილ ათლეტებს. ფიზაღზრდისა და სპორტის კაბინეტისკენ მიმავალს, მხატვრულად გაფორმებული ხუთი გადაჯაჭვული რგოლი შეგაჩერებს. ყოველ რგოლში ჩაწერილია ტექნიკუმის მოწინავე სპორტსმენთა გვარები, იქვე ნახავთ მშთ კომპლექსის მასალებს, შიდასაკოლექტივო სპარტაკიადის ამსახველ ფოტოსურათებს, პლაკატებს, ცხრილებს...

ტექნიკუმის სპორტკლუბი „იბერია" მშთ კომპლექსის დანერგვის საქმეში მიღწეული წარმატებებისთვის ორჯერ — 1978 და 1979 წლებში გამარჯვებული გამოვიდა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" საკავშირო კონკურს-დათვალიერებაში. 1976 წლიდან იგი მუდამ პირველია საქართველოს საშუალო სპეციალური სასწავლებლების რესპუბლიკურ და „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს კოლექტივების კონკურს-დათვალიერებაში.

— ჩვენი სასწავლებელი ერთი საგაზეთო წერილის წაკითხვით გავიცანი. იმ წერილში ნაამბობი იყო, რომ ტექნიკუმის პედკოლექტივი სპორტსმენებს სწავლასა და სპორტში დიდ დახმარებას უწევს. — გვიამბობს ელექტროგამოთვლითი მანქანების განყოფილების II კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი მაყვალა ამზოევა, — იმედი არ გამიცრუვდა, ტექნიკუმში ჩარიცხვისთანავე ვიგრძენი ხელმძღვანელთა დიდი ყურადღება, რამაც უეჭველად შემიწყო ხელი სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლაში — შევძელი სამხედრო-გამოყენებით სპორტში III საპრიზო ადგილის დაკავება...

შენობების სანტექნიკურ მოწყობილობათა განყოფილების IV კურსის სტუდენტი გელა კოხოძე მრავალმხრივი მოჭიდავეა: მას სპორტის ოსტატის წოდება ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში აქვს მოპოვებული, მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის სამივე სახეობაში საქართველოს ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის. ცხადია, საწვრთნო შეკრებები, შეჯიბრებები კოხოძეს და მის მეგობრებს სპორტის ოსტატებს ზ. ადუაშვილს, ა. მჭედლიშვილს, გ. ბეჟიაშვილს, თ. ტუაევს და სხვებს არც თუ ცოტა დროსართმევს, მაგრამ ტექნიკუმის პედკოლექტივი მათ სისტემატურად ეხმარება, რათა სწავლას არ ჩამორჩნენ.

თანამედროვე პირობებში სპორტის ოსტატის აღზრდა არც თუ იოლია. ამიტომ იშვიათი როდია, როცა სასწავლებლები, სპორტკლუბები უკვე მაღალი თანრიგის სპორტსმენების ხარჯზე ივსებენ სპორტის ოსტატთა რიგებს. სპორტკლუბ „იბერია" კი, რომელიც თავის რიგებში 40-ზე მეტ სპორტის ოსტატს ითვლის, თავადვე ამეგობრებს სპორტთან ჭაბუკებს და ქალიშვილებს და შემდეგ სპორტული დაოსტატების გზით ატარებს.

17 წლის სტუდენტი მერაბ გიგუაშვილი 43 კგ-ს იწონის. სპორტის დიდი სიყვარულის მიუხედავად, მომცრო ტანის მერაბს იმედი გადაწურული ჰქონდა, რომ სპორტსმენი გახდებოდა. ტექნიკუმის ფიზაღზრდისა და სპორტის ხელმძღვანელმა ნ. გაგოშიძემ იგი თავისუფალ ჭიდაობაში ცნობილ მწვრთნელს მ. ოსიყმაშვილს მიჰგვარა. ერთი წლის შემდეგ გიგუაშვილი უმჩატეს წონაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის კანდიდატი გახდა.

მეორე მაგალითი: თიანეთელ ლიანა ძებნიაურს, როცა ინდუსტრიულ ტექნიკუმში ჩაირიცხა, სროლაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. თოფი მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადების დროს აიღო ხელთ პირველად, მერე ტყვიის სროლით დაინტერესდა და ფიზაღზრდის მასწავლებლების რჩევით საქართველოს დოსაafის ცენტრალური კომიტეტის სასროლო სპორტკლუბში გულმოდგინე ვარჯიშს შეუდგა. ლიანა სპორტის ოსტატი, საკავშირო პირველობის პრიზიორი, საქართველოს სამგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი გახდა.

— დიდად გვეხმარება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან მჭიდრო კონტაქტი, — გვიხსნის ტექნიკუმის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი, შესანიშნავი პედაგოგი და ორგანიზატორი ნ. გაგოშიძე. — სპეციალისტების პრაქტიკულმა რჩევამ და რეკომენდაციებმა საშუალება მოგვცა შეგვექმნა ქალიშვილებისა და ჭაბუკთა მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების, სპორტში მათი ჩაბმის ეფექტური სისტემა.

თქმა არ უნდა, დიდია ნ. გაგოშიძის ღვაწლი, მისი დამსახურება მოპოვებულ წარმატებებში და მაინც ყოველი სასიკეთო საქმის ტონის მიმცემი და მთავარი ორგანიზატორი გახლავთ ტექნიკუმის ახალგაზრდა დირექტორი ციური აფხაზავა, რომლის მეცადინეობითა და რუდუნებით ჩამოყალიბდა ეს შესანიშნავი კოლექტივი...

ბავშვობის წლებში აფხაზავა თბილისის ფრენბურთელ გოგონათა ნაკრების წევრი იყო, შემდეგ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ნაკრები გუნდის ღირსებას იცავდა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. სპორტსმენებისადმი ზრუნვაში ყველა პედაგოგი და თანამშრომელი [illegible] მაგალითს ბაძავს.. დირექტორის თანადგომამ [illegible] ნ. [illegible]ძის ენთუზიაზმსაც და, თუმცა ტექნიკუმს მხოლოდ ერთი სპორტული დარბაზი და საკუთარი ძალებით მოწყობილი სარბენი ბილიკები გააჩნია, აქაური სპორტსმენები ღირსეულად იმაღლებენ ოსტატობას სპორტის 11 სახეობაში.

— ბევრი ჩვენი მოსწავლე-სპორტსმენი სწავლის მოწინავეა, — გვეუბნება დირექტორი. — ფიზკულტურა და სპორტი, მშთ-ს კომპლექსი, რომლებიც მტკიცედ დამკვიდრდა კოლექტივის ყოველდღიურობაში, მოსწავლეებს ეხმარება სწავლაში, ჯანმრთელობის გაკაჟებაში, ჩვენ კი ხელს გვიწყობს ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში...

და აი, მუშაობის მშვენიერი ორგანიზაციის ალიარების ახალი დასტურიც: მშთ-ს კომპლექსის დანერგვის საქმეში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის, ნორმატივების ჩაბარებაში მოსწავლე-ახალგაზრდობისა და თანამშრომელთა მასობრივი ჩაბმისთვის, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის წარმატებით წარმართვისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის სპორტკლუბი „იბერია" მშთ-ს საპატიო ნიშნით და სიგელით დააჯილდოვა.

„იბერიას" ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე ბ. მებაღიშვილი) საზოგადოებრივი აქტივი, ტექნიკუმის მთელი პედკოლექტივი კვლავაც დაუღალავად იღვწის ახალი გაზრდილი ვალდებულებების შესასრულებლად. ყველა გულმოდგინედ შრომობს, ეძიებს ახალ ფორმებს, მეთოდებს, რომ ქვეყანას კვალიფიციური სპეციალისტები, ხოლო სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს მეტი სპორტსმენი აღუზარდოს.

**ი. იუნაევი.**

* * *

**სურათებზე:** ტექნიკუმელები შიდასაკოლექტივო კროსის დისტანციაზე; დირექტორი ც. აფხაზავა (მარჯვნიდან მესამე) სასწავლებლის მოწინავე სპორტსმენებთან; ლ. ძებნიაური; აქ მხოლოდ სპორტული ნადავლის ნაწილია.

ავტორის ფოტოები.







# კოხტაზე... მთელი ოჯახით

**თითქოს** ახლახან იყო, მაგრამ როდესაც გამოვითვალეთ, გავოცდით კიდეც: მთელი 20 წელიწადი გასულა მას შემდეგ, რაც კოხტაგორის მწვერვალიდან თხილამურების ერთგული თაყვანისმცემლების ტაშის გრიალში თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებოდა ჩვენი მრავალგზის ჩემპიონი ლიანა გოგოლაძე. მაგრამ იგი ხომ მაშინ სამთო თხილამურების ერთადერთი ოსტატი იყო. ახლა ასეთები რესპუბლიკაში ბარემ 5-6 გვყავს: მერი კოზანაშვილი, თამარ გელაშვილი, ცირა კოზანაშვილი, მზია მიქაბერიძე... (ცხადია, გვსურს უფრო მეტი გვყავდეს!).

ყველანი კარგი მოთხილამურეები არიან — მზარდი, პერსპექტიული. მაგრამ ამ თანაბართა შორის უპირატესობა, მაინც 17 წლის ოსტატობის კანდიდატს მერი კოზანაშვილს („კოლმეურნე") უნდა მივაკუთვნოთ. იგი უფრო ტექნიკური და სტაბილურია, ამასთან ურიგოდ როდი გამოდის ბაკურიანში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში. შეგახსენებთ, რომ II ტურის ასპარეზობაში სლავსკოეში მერი VIII იყო სპეციალურ სლალომში, ხოლო ბაკურიანში X შედეგი აჩვენა გიგანტური სლალომის ტრასაზე.

...გუშინწინდელი შეჯიბრების დროს სპეციალურ სლალომში მ. კოზანაშვილს, როგორც ყოველთვის, ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა. ყველაზე მეტად კი, ბუნებრივია, ღელავდნენ მისი ძმები —მესამეკლასელი გელა (მას ჭაბუკთა I თანრიგი აქვს), ანზორი (სპორტის ოსტატი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი) და მამამისი— მერის მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შოთა კოზანაშვილი. ეს, ასე ვთქვათ, მისი ლეგალური გულშემატკივრები. მაგრამ კოხტაგორაზე იყო კიდევ ერთი, რომელიც ფარულად ადევნებდა თვალს მერის გამოსვლას და, დაგვერწმუნეთ, არანაკლები მღელვარებით.

— გული აღარ გამიჩერდა სახლში — გვეუბნება რაისა კოზანაშვილი და ცდილობს შეუმჩნეველი დარჩეს ქალიშვილისთვის, რომელიც საბაგიროთი მიემართება კოხტასაკენ. ძმებსა და მამას .შეჩვეულია, როგორც სპორტსმენებს, მაგრამ აი, როდესაც მე მხედავს შეჯიბრებაზე მოსულს, რატომღაც ღელავს და ზედმეტი გულმოდგინების გამო, წარმოიდგინეთ, უფრო ცუდად ასპარეზობს (ეცემა ან კარს გამოტოვებს ხოლმე). ამიტომაც იძულებული ვარ დავემალო — გვითხრა კოზანაშვილების ოჯახის დიასახლისმა. ამ დღეს მერიმ სპეციალურ სლალომის ტრასაზე (450 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა 180 მ, 51 კარი) კვლავ კარგად იასპარეზა — ორი ცდის ჯამში 1 წუთი და 44,78 აჩვენა (50,78 და 54,00), რამაც მას 53 მონაწილეს შორის IX ადგილი მოუტანა. აღსანიშნავია, რომ ტრასა მხოლოდ 22 მოთხილამურემ დაამთავრა. ამ სახეობაში პირველობა მოიპოვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, 27 წლის ლვოველმა ნატალია პერჩატკინამ — 1.34,45, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო II და III ადგილებზე გასულ პერმელ გ. სუმგატოვას (1,36,57) და თავის უმცროს დას ტ. პერჩატკინას (1.39,16). სამივე სპორტსმენი დინამოელია. წინა დღით სპეციალურ სლალომში ვაჟები ასპარეზობდნენ (ტრასა 450 მ, სიმაღლეთა სხვაობა 180 მ, 56 კარი). ყველაზე უკეთ გამოვიდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 24 წლის სპარტაკელი ვ. სინეტოვი (კამჩატკის პეტროპავლოვსკი). ორი ცდის ჯამში მან 1.32,47 აჩვენა, მეორე დრო ჰქონდა არმიელ ი. დუდკოს — 1.33,02, მესამე — მის თანაგუნდელ მ. ტიმოფეევს — 1.33,51. საინტერესოა, რომ ამ ახალგაზრდა სპორტსმენმა მეორე ტრასის გავლისას დღის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა—45,56. საერთოდ ამ სახეობაში ძლიერად იასპარეზეს არმიელმა მოთხილამურეებმა, რომლებმაც პირველ ათეულში 5 ადგილი დაისაკუთრეს.

ამრიგად, დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის III ტური. გუნდურ შეჯიბრებაში შეიარაღებული ძალების სპორტსმენები ლიდერობენ — 279 ქულა, II ადგილზეა „დინამო" — 272, მესამეზე „სპარტაკი" — 240.

დღეს ბაკურიანში დაიწყება გათამაშების დასკვნითი IV ტური, რომელშიც გაზეთ „ლელოს" პრიზები გათამაშდება. კოხტა-2-ის სტარტზე გამოვლენ სწრაფდაშვების ოსტატი ქალები და ვაჟები.

**ო. ნოზაძე,**
(ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.)

# არგენტინული ტურნე

## მოგვითხრობს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. თელია

...ეს უკვე მეშვიდეჯერ გადავკვეთე ეკვატორი: ექვსჯერ თვითმფრინავით, ერთხელ — ფეხით. მართლაც რომ ბევრი საინტერესო ქვეყანა და ხალხი მინახავს. ახლაც ისევ ჰაერში ვიმყოფები...

„ბერმუდის სამკუთხედი!“ — აცხადებს სტიუარდესა,—ჩვენ კი უკვე მეთხუთმეტე საათია ჰაერში ვართ თვალუწვდენელ წყვდიადში. თვითმფრინავი თითქოს ღამის თანამგზავრია. ფრანკფურტსა და ლისაბონში თითოსაათიანი შესვენებების შემდეგ შუა ოკეანეზე ვიმყოფებით და კიდევ ამდენივე დაგვრჩა საფრენი.

ჰაერშიც გამიჩნდა საქმე. ახალი აფრენილები ვიყავით, მანუჩარი რომ უქეიფოდ შეიქნა. სიცხე ჰქონდა. აქეთ ქორიძეს ატკივდა კბილი. ჰაერშივე შევძელით მიგვეღო საჭირო ზომები. დილის 8 საათზე (17 საათზე თბილისის დროით) ინათა და დავეშვით ჰავანაში. ხანმოკლე შესვენება და თვითმფრინავმა გზა ქ. ლიმისკენ აიღო, 12 საათზე გადავუფრინეთ ეკვატორს და მალე ლიმაში ვიყავით. ცხელა, 24 გრადუსია. გზად აეროპორტიდან სასტუმრომდე თვალში გეცემათ სხვადასხვა მარკის ავტომანქანების სიმრავლე, მაგრამ ხეირიანად მოვლილ ან ახალ მანქანას იშვიათად ნახავთ. ყველა დაჟანგულია, დაჭეჭყილი, მინებჩალეწილი, გახუნებული, ზოგიც — ფრთამოცლილი.

პერუს დედაქალაქი ლიმა სილამაზით სულაც არ ჰგავს... დედაქალაქს. მწვანე ნარგავები ცოტაა, ქუჩები და სახლები — მტვრიანი, დაუმთავრებელი, მინგრეულ-მონგრეული. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მხოლოდ ქალაქის ცენტრი, მაგრამ ეს მცირე უბანია. ცოტა ხნის შესვენების შემდეგ გავუყევით გზას ბუენოს-აირესისკენ.

საფრენი კიდევ 5 საათი დაგვრჩა. დილის 7 საათზე დამთავრდა ჩვენი მომქანცველი მგზავრობა. დაგვაბინავეს ქალაქის ცენტრში, სასტუმრო „პრეზიდენტში“. ხვალ თამაშია დანიშნული, ჩვენ კი თითქმის არანორმალურ მდგომარეობაში ვიმყოფებით, აგვერია დღეც და ღამეც, საჭმლის მიღების წლების განმავლობაში გამყარებული რეფლექსები, კუჭნაწლავის მოქმედების რიტმი, მოკლედ, აიშალა ორგანიზმის როგორც ცხოველმყოფელობის ბიოლოგიური რიტმები, ისე ცხოვრებით გამომუშავებული ფიზიოლოგიური რეფლექსებიც. ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. საჭირო იყო დროის მცირე მონაკვეთში უზრუნველგვეყო მუშაობის უნარიანობის აღდგენა.

მეორე დღეს, 30 იანვარს, ღამის 10 საათზე (თბილისის დროით დილის 5 საათზე) დაიწყო შეხვედრა ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსთან“. სტადიონზე საკმაოდ იყო მაყურებელი — 20 ათასზე მეტი.

დინამოელებმა თამაში დაიწყეს მაღალ ტემპში, ლამაზად. გუცაევის სწრაფი გასვლის შემდეგ შენგელიამ გახსნა კიდეც ანგარიში და არგენტინელი მაყურებელიც უკვე ჩვენი მხარდამჭერი შეიქნა. მთელი ჩრდილოეთი ტრიბუნა გაიძახოდა „დინამო“, „დინამო“... თავი თბილისში მეგონა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქართველთა ძახილი სამმარცვლოვანია, ყოველი მარცვლის ხმოვანზე მახვილით, არგენტინელი მაყურებელი კი „დინამოს“ ორმარცვლოვნად გაჰყვიროდა — „დი-ნამო“... „დი-ნამო“...

საინტერესო მაყურებელია ბუენოს-აირესში. მოპირდაპირე ტრიბუნაზე ახალგაზრდობა ორკესტრით მოსულიყო და თამაშის მსვლელობაში მთელი ტრიბუნა მღეროდა. როგორც კი თბილისელები იწყებდნენ აქტიურობას, სიმღერა წყდებოდა და მოწინააღმდეგე მხრიდან იწყებოდა „დინამოს“ ძახილი არგენტინული ვარიანტით.

პირველი 25 წუთის განმავლობაში კიდევ 2 აშკარა საგოლე მომენტი შეიქნა მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ შენგელიამ ააცილა მიზანს.

დაქანცულობამ, მწვავე აკლიმატიზაციამ მაინც თავისი გაიტანა. დინამოელებმა ტემპს მოუკლეს, მოინდომეს ანგარიშის შენარჩუნება ბურთის უკან გადაწოდებით, რასაც მოჰყვა შეცდომა და ანგარიშიც გათანაბრდა — 1:1.

მომდევნო დღეებში დიდი სიცხეები დაიჭირა, მერე, კიდევ კარგი, წვიმა მოვიდა და შედარებით აგრილდა. სავარჯიშოდ წაგვიყვანეს ქალაქიდან 40 კილომეტრის დაშორებით. მთელ გზაზე თვალს იტაცებდა ერთიმეორეზე ლამაზი შენობები და სუფთა ქუჩები, მწვანე მინდვრის მასივები, მრავალწლიანი ვეებერთელა ხეები.

მივემგზავრებოდით სავარჯიშოდ და აღმოჩნდა, რომ... მასპინძლებს გზაც არ ცოდნიათ იმ სტადიონისაკენ, სადაც უნდა გვევარჯიშა. გავიარეთ ქალაქის განაპირა უბნები, ერთსართულიანი ვილები პატარა დეკორატიული ეზოებით და ვიწრო ქუჩებით. ხეხილის ხეები რატომღაც არ ურგიათ, თუმცა ჰავა სუბტროპიკულია და ყველაფერი ხარობს.

ბევრი ვიარეთ, სავარჯიშო მინდორი კი მაინც ვერ ვნახეთ. მართალია, ვარჯიში არ ჩატარდა, მაგრამ ექსკურსია კი კარგი გამოვიდა.

დინამოელთა შემდეგი მოწინააღმდეგე იყო არგენტინის ჩემპიონატში მეორე ადგილზე მყოფი „ველეჰ სარსფილდი“. აქაც გამეორდა პირველი თამაშის ისტორია: დასაწყისი შესანიშნავი გვქონდა, ვერ გამოვიყენეთ ბურთის გატანის რამდენიმე აშკარა შესაძლებლობა, მერე კი წარმატება მასპინძლებმა მოიპოვეს. 0:1 — ასე დამთავრდა ეს მატჩი. თუმცა თვით თამაში არ იყო ურიგო. გაზეთებმაც დაახლოებით ამგვარი რეცენზიები დაწერეს.

მეორე დღეს ავტობუსით 400-მდე კილომეტრი გავიარეთ და ქალაქ როსარიოში ჩავედით.

მგზავრობისას ერთი თავისებურება მომხვდა თვალში: არსად, არც ერთ რაიონში, გავლილი ასეულობით კილომეტრის მანძილზე, ყვავისა ან ბეღურისთვის არ მომიკრავს თვალი. მერცხლები კი ადვილად შეგუებიან არგენტინული ცხოვრების პირობებს და გზების გასწვრივ გაყოლებით გაწკრივებულ სატელეგრაფო და ელექტრომავთებზე გაუკეთებიათ ბუდეები. ასეთია მერცხლების ცხოვრების არგენტინული წესი: ჩვენი მერცხლები ადამიანთა მოყვარულნი არიან, ბუდობენ იქ, სადაც ადამიანთა ცხოვრება დუღს, არგენტინელი მერცხლები კი — პირიქით...

როსარიოში 4 თებერვალს უნდა ჩატარებულიყო მატჩი. მოვემზადეთ კიდეც, მაგრამ საღამოს დაიწყო წვიმა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ მაყურებელი ბევრი არ მოვიდოდა. თამაში გადაიტანეს 5 თებერვლისთვის.

როსარიოში დავბინავდით მსოფლიო პირველობის პერიოდისთვის სპეციალურად აგებულ შენობაში, მაგრამ იგი ერთობ პატარაა, მოუხერხებელი. გვიკვირდა კიდეც — აქ როგორ ცხოვრობდნენ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდები. გაჭირვებით მოვთავსდით ორი გუნდი — სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები და „დინამო“. ეს ორი კოლექტივი არგენტინაში ერთად იყო მთელი ამ ხნის მანძილზე. ერთ დღეს თამაშობდნენ — ჯერ ახალგაზრდული ნაკრები, შემდეგ — ჩვენები. რა თქმა უნდა, ახალგაზრდული ნაკრების მოწინააღმდეგეები ბევრად უფრო სუსტები იყვნენ.

როსარიოში მეტად საინტერესო გამოდგა თამაში „როსარიო სენტრალთან“, — გუნდთან, რომელიც არგენტინის ჩემპიონატში III ადგილზე იმყოფებოდა.

თამაში დინამოელებმა შეტევით დაიწყეს. მართალია, პირველი ბურთი „როსარიომ“ გაიტანა, მაგრამ მერე ანგარიში გათანაბრდა, მალე კი წინ „დინამო“ გავიდა — 2:1. თამაშის დამთავრებას ბევრი აღარ აკლდა, როცა რამდენიმე შეცდომა იქნა დაშვებული, რაც კარგად გამოიყენეს არგენტინელებმა და გაიმარჯვეს კიდეც — 3:2.

თამაშის დამთავრებისთანავე, არც გვივახშმია, სტადიონიდან აეროპორტში გავემგზავრეთ და დილის 4 საათზე ქ. მენდოსაში ჩავფრინდით. იმავე დღეს ადგილობრივ გუნდთან იყო დანიშნული შეხვედრა.

დაღლილი და მომქანცველი, უჩვეულო ფიზიკური დატვირთვების მიუხედავად, რომელიც ხდებოდა ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ბიოლოგიური რიტმების [illegible] პირობებში, დარჩენილი დრო რაციონალურად გამოვიყენეთ დასვენებისა და წვრთნისთვის, შევინარჩუნეთ სპორტსმენთა მუშაობის უნარიანობა, რაზეც მიგვანიშნებდა „საველე“ პირობებში ჩატარებული სამედიცინო კონტროლის მონაცემები. გადაუდებელი სამედიცინო რეაბილიტაციის ღონისძიებანი ტარდებოდა ჰაერში, ფრენის დროსაც კი.

დასანანი წაგების შემდეგ, მეორე დღეს ქ. მენდოსის ცენტრალურ სტადიონზე დინამოელები ქალაქის ნაკრების პირისპირ დადგნენ. ამჯერად ჩვენებმა გააზრებულად, ლამაზად, ნაკლები შეცდომებით ითამაშეს (რაც ადრე წაგებად გვიჯდებოდა) და გაიმარჯვეს — 4:1.

უკვე კარგ ხასიათზე მყოფთ არ გაგვჭირვებია თამაშის დამთავრებისთანავე სტადიონიდან, ისევ უვახშმოდ, ღამის 1 საათსა და 30 წუთზე გავემგზავრებულიყავით აეროპორტში და გეზი აგვეღო ქ. ტუკუმანისკენ.

აქ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით: დასვენებისთვის დრო 36 საათი გვქონდა, თუმცა ორი ღამენათევი ვიყავით და ტემპერატურაც 35 გრადუსს აღწევდა. მასპინძლებმა დასვენების კარგი პირობები შეგვიქმნეს.

ბოლო თამაში „სან-მარტინ დე-ტუკუმანთან“ ჩატარდა. არ ვიცი, სხვა არგენტინული საფეხბურთო კლუბების გვერდით როგორ ბრწყინავს იგი (სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზეა), მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ყველაზე ძლიერი წინააღმდეგობა, ბრძოლისუნარიანობა, თამაშის კლასი და... უხეშობაც ამ კლუბმა გვიჩვენა, თან მსაჯიც აშკარად ემხრობოდა მასპინძლებს.

თბილისელებმა მეტოქე დაჯაბნეს ტექნიკითაც და ფიზიკურადაც, ცალკეულ მომენტებში სრული უპირატესობა ჰქონდათ.

ალბათ, ეჭვი შეგეპარებათ — 5:2 მოიგეთ და როგორ იყო „სან-მარტინი“ ყველაზე ძლიერი მეტოქეო, მაგრამ ეს ასეა. თბილისის „დინამომ“ ამ მატჩში მთელი თავისი შესაძლებლობანი გამოამჟღავნა.

ამით დამთავრდა არგენტინული ტურნე. 5 თამაშიდან 1 ფრე, 2 წაგება და 2 მოგება.. ბურთების შეფარდება 12:8 ჩვენების სასარგებლოდ.

---

ფეხბურთი



-80

# ჯანი რივერას აზრით

პრაღის პოპულარულ ჟურნალ „გოლის“ მკითხველებმა, რედაქციის თხოვნით, არაერთი შეკითხვა გაგზავნეს იტალიელ ფეხბურთელ ჯანი რივერას სახელზე. რედაქციამ მოაგროვა ეს კითხვები და რივერას გააცნო. კითხვა-პასუხები, რომელიც, „გოლის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველებისთვისაც.

**⊙ როდის დაიწყეთ ბურთის თამაში?**

— მაშინ, როდესაც სიარული ვისწავლე — ორი-სამი წლისამ. ვფიქრობ, მსოფლიოს გამოჩენილ ოსტატთა უმრავლესობაც სწორედ ამ ასაკში გაეცნო ბურთს.

**⊙ რამდენი მატჩი ითამაშეთ „მილანში“ და რამდენი ბურთი გაიტანეთ?**

— 501 მატჩი (მანამდე „ალესანდრიაში“ გამოვდიოდი), გავიტანე 136 ბურთი.

**⊙ ნაკრებში პირველად როდის ითამაშეთ?**

— 1962 წელს ბრიუსელში, ბელგიელთა წინააღმდეგ. მაშინ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა, ჩემს გვერდით თამაშობდნენ ტრაპატონი, ალტაფინი, მალდინი, სივორი, ორი წლით ადრე იტალიის ოლიმპიურ ნაკრებში გამოვდიოდი (1960 წლის რომის ოლიმპიადა). ოლიმპიური მედალი არა მაქვს, ვინაიდან მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში უნგრელებთან დავმარცხდით.

**⊙ თქვენ არაერთი სეზონი გითამაშიათ უცხოელ ვარსკვლავებთან მხარდამხარ. რომელმა მათგანმა დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

— ჩემი თამაშის მანერას ბევრი ურუგვაელი ხუან სკიაფინოს სტილს ადარებდა, მაგრამ ერთად არ გვითამაშია. სკიაფინომ კლუბში ჩემს ჩარიცხვამდე ერთი წლით ადრე დატოვა მილანი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ბრაზილიელებმა დინო სანიმ და ხოსე ალტაფინიმ. პირველი შესანიშნავი გამთამაშებელი იყო, მეორე — ბრწყინვალე სნაიპერი. მითამაშია ინგლისელ ჯიმი გრივსთან. მას დიდი ტალანტი ჰქონდა, მაგრამ მოქნილობა აკლდა, ყოველ შემთხვევაში იმ დროს, როდესაც „მილანში“ გამოდიოდა.

**⊙ რომელი ფეხბურთელი მიგაჩნდათ კერპად, ვინ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა?**

— ასეთი ფეხბურთელი არ მყოლია.

**⊙ რომელი ფეხბურთი უკეთესი იყო, მაშინდელი, როცა თქვენ დაიწყეთ თამაში, თუ ახლანდელი?**

—ახლანდელი ფეხბურთი უფრო სწრაფია და არც სანახაობრივადაა ნაკლები.

**⊙ თქვენ 4 მსოფლიო ჩემპიონატში მიიღეთ მონაწილეობა 1962 წლიდან 1974 წლამდე. ამ ჩემპიონატებიდან რომელი იყო ყველაზე მაღალი დონისა?**

— 1962 წლის ჩემპიონატი ჩილიში. აქ ყველაზე უფრო ძლიერმა კონკურენტებმა მოიყარეს თავი, ყველაზე მეტი ტექნიკური ფეხბურთელი გამოდიოდა.

**⊙ თქვენ 60 მატჩი გაქვთ ნათამაშევი იტალიის ნაკრებში. როდის იყო ეს გუნდი ყველაზე უფრო ძლიერი?**

— ვფიქრობ, ჩვენი გუნდი ყველაზე უფრო ძლიერი იყო 1966 წელს, ინგლისში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში. მაშინ ჩვენს გუნდში თამაშობდნენ ალბერტოზი, ფაკეტი, ბურგნიჩი, როზატო, სალვადორე, ბულგარელი, ბარისონი, მაცოლა, რივა. ამის მიუხედავად, დავმარცხდით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან —0:1.

**⊙ რით აიხსნება, რომ იტალიის ჩემპიონატში ძალიან ცოტა გოლი გადის?**

— უგოლო თამაშიც შეიძლება საინტერესო და დაძაბული იყოს, თუმცა, ვაღიარებ, რომ იტალიის ჩემპიონატში ძალზე ცოტა გოლი გადის. ეს იმის ბრალია, რომ გუნდები, მწვრთნელების რჩევით, ძალიან ფრთხილ, დაცვითს ფეხბურთს თამაშობენ. მწვრთნელმა იცის, რომ წაგება შეიძლება მისი კარიერის დასასრულს მოასწავებდეს.

**⊙ რომელი ნაკრებები და საკლუბო გუნდები მოგეწონათ იმ პერიოდში, როცა თამაშობდით? ყველაზე ძალიან რომელი მოთამაშეები დაგამახსოვრდათ?**

— მე ყოველთვის ტექნიკას ვანიჭებდი უპირატესობას. ამ თვალსაზრისით შეუდარებელი იყო 60-იანი წლების ბრაზილიის ნაკრები. დიდებული იყო 70-იანი წლების დასაწყისის ამსტერდამის „აიაქსი“, სანამ ისეთი მოთამაშეები ჰყავდა, როგორებიც იყვნენ კრუიფი, ნეესკენსი, რეპი, ჰაანი. ყველაზე მაღლა მაინც პელეს ვაყენებ. რაც შეეხება იდეალურ ნაკრებს, მე არ მინდა მისი შედგენა.

**⊙ რა მოვალეობას ასრულებთ ახლა „მილანში“?**

— კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ვარ.

**⊙ რომელი ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელის ნახვა გსურთ „მილანის“ შემადგენლობაში — ნეჰოდასი თუ პანენკასი?**

— არ გეწყინოთ, მაგრამ პასუხის გაცემა მიჭირს. საჭირო იქნებოდა ამ ფეხბურთელების ნახვა რამდენიმე მატჩში.

**⊙ რომელი ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელი მოგწონთ ყველაზე უფრო მეტად?**

— იოზეფ მასოპუსტი. იგი ისეთი ფეხბურთელი იყო, რომლებზეც ამბობენ, მარტო შეუძლია მატჩის მოგებაო.

**⊙ რას იტყვით ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე?**

— ჩემპიონი გახდება იტალიის ნაკრები, რომელიც ფინალში თანაბარ 90-წუთიან ან 120-წუთიან ბრძოლაში დაამარცხებს ინგლისელებს. მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან გფრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ამ მატჩს, ჩემი აზრით, მოიგებენ გერმანელები.

---

### მოკლედ

## ხუთი ფინალისტი

**დამთავრდა** წინა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი ფეხბურთში სამხრეთ ამერიკის 7 გუნდის მონაწილეობით. ბოლო მატჩი არგენტინისა და კოლუმბიის კოლექტივებმა ფრედ (0:0) ითამაშეს. ამრიგად, ტურნირში 11 ქულით (6 მატჩიდან) პირველობა მოიგეს არგენტინელებმა. 7 ქულით II ადგილზე გავიდნენ კოლუმბიელები და მათაც მიიღეს მოსკოვის თამაშების საგზური.

ახლა ცნობილია 5 ნაკრები, რომლებიც მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის ფინალში იასპარეზებენ. ესენია: სსრ კავშირის, გდრ-ის, ნორვეგიის, არგენტინისა და კოლუმბიის გუნდები. დანარჩენი 11 ფინალისტის ვინაობა ცნობილი გახდება 15 აპრილს, როცა ყველა შესარჩევი ტურნირი დასრულდება.

## ახალი მწვრთნელი

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტული კონფედერაციის გადაწყვეტილებით, ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი კ. კუტინიო გათავისუფლებულია თანამდებობიდან. მათ მიაჩნიათ, რომ ნაკრების შედეგები ბოლო წლებში არადამაკმაყოფილებელია.

ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა 48 წლის ტელე სანტანა, სან-პაულუს „პალმეირასის“ ახლანდელი ხელმძღვანელი. მისი მთავარი ამოცანაა გუნდის მომზადება მსოფლიოს 1982 წლის პირველობის შესარჩევი შეჯიბრებისთვის.

# ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

## მოზაიკა...

**ზამთრის** XIII ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე დიდია აშშ-ის სპორტული დელეგაცია (142 მონაწილე), ხოლო ყველაზე მცირერიცხოვანი — კოსტარიკას ნაკრები, რომელიც განისაზღვრება ერთი სპორტსმენით.

**ოლიმპიადაზე აკრედიტებულმა** საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და შვეიცარიის ჟურნალისტებმა პროტესტით მიმართეს საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობას ფრანგულ ენაზე პრეს-ბიულეტენის არარსებობისა და ლეიკ-პლესიდიდან მათი სასტუმროს სიშორის გამო. პრესის წარმომადგენლები ჩივიან ტელეფონების უკმარობაზეც. თავიანთი კოლეგების ამ კრიტიკულ შენიშვნებს მხარს უჭერენ ამერიკელი ჟურნალისტებიც.

**საკმაოდ** უჩვეულო პირობებში მიმდინარეობდა ჩეხოსლოვაკიისა და ნორვეგიის ჰოკეისტთა მატჩი: განათების სისტემის მოშლის გამო იგი დაიწყო 15 წუთით გვიან, მაგრამ ეს ხარვეზები მაინც არ იქნა აღმოფხვრილი: მოედნის ერთი ნაწილი უფრო კარგად ნათდებოდა, ვიდრე მეორე. გუნდები იძულებული იყვნენ... კარები გაეცვალათ ყოველ 10 წუთში.

**გუნდების** ბევრი მოყვარული, ოლიმპიური სარბიელების დათვალიერებისას გულმოკლული აქნევს თავს: სამთო-სათხილამურო ტრასის გაყვანისას, ტრამპლინებისა და ბობსლეის ღარის გასაკეთებლად მოჭრილი იქნა 16 ათასი ძირი ხე.

**ტრადიციად** იქცა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ჩამოდის მსოფლიო სპორტის ბევრი „ვარსკვლავი". ჩვეულებრივ, მათ იწვევენ მიმომხილველებად, კომენტატორებად. სოლიდურმა კომპანიამ მოიყარა თავი ლეიკ-პლესიდშიც: ავსტრიის ტელევიზიამ აქ გააგზავნა ცნობილი ფიგურისტები ე. დანცერი და ბ. შუბა; საფრანგეთისამ — სამთო-მოთხილამურე ჟან კლოდ კილი; საბჭოთამ — ჰოკეისტი ე. მაიოროვი.



ს უ რ ა თ ზ ე. ქალთა შორის 500 მეტრზე ციგურებით რბენაში საპრიზო ადგილებზე გასულნი: მარცხნიდან — ამერიკელი ლ. მიულერი (II ადგილი), ჩემპიონი კ. ენკე (გდრ) და ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა მოციგურავე ნ. პეტრუსევა.

საკდესის-საქინფორმის ტელეფოტო.

●

## დღეს და ხვალ...

XIII ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე კვირას და ორშაბათს მედლების კიდევ 6 კომპლექტი გათამაშდება.

**კვირას** დავას დაამთავრებენ ქალები სწრაფდაშვებაში და 1000 მეტრზე ციგურებით რბოლაში, ხოლო ხვალ ურთიერთობას გაარკვევენ 10 კილომეტრზე თხილამურებით მორბენლები. ამ დღეს გაგრძელდება ფიგურისტთა შეჯიბრებები ცეკვებში (სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამა) და წყვილთა სრიალში (ნებისმიერი პროგრამა). ეს უკანასკნელნი ასპარეზობას ამით ამთავრებენ.

17 თებერვალს **ვაჟები** მედლებისთვის იბრძოლებენ თხილამურებით 15 კილომეტრზე რბენაში და 70-მეტრიან ტრამპლინზე ხტომაში, დაიწყება ვაჟთა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში (პირველი ცდა), ფიგურულ სრიალში (სავალდებულო პროგრამა): სტარტს აიღებენ ორჭიდელები (70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა) და გაიმართება ჰოკეისტთა IV ტურის შეხვედრები ქვეჯგუფებში.

---

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, მეშვიდე ტირაჟები:

**„სპორტლოტო 6-49"-დან:**

**პირველი:** 11 (ველოსპორტი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 21 (ცხენოსნობა), 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 45 (ფეხბურთი), 47 (ბურთიანი ჰოკეი). შეღავათიანი ბურთულა — 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა).

**მეორე:** 1 (ავიასპორტი), 4 (ალპინიზმი), 14 (ფრენბურთი), 15 (წყალბურთი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 44 (ფიგურული სრიალი), შეღავათიანი ბურთულა — 32 (წყალში ხტომა).

**„სპორტლოტო 5-36"-დან:**

**პირველი:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 8. (საგზატკეცილო ველორბოლა), 9 (წყალბურთი), 22 (ცურვა), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი).

**მეორე:** 1 (კალათბურთი), 24 (ხელბურთი), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი), 29 (ტყვიის სროლა), 36 (ჰოკეი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

---

# ქარონიკა

## ● კალათბურთი

### 31 ქულით...

**კიევში** გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. თბილისელთა გამარჯვებაზე ლენინგრადის „სპარტაკთან" შეხვედრაში უკვე ვიუწყებოდით. გაგაცნობთ სხვა მატჩების შედეგებს: „სტროიტელი" — „ლოკომოტივი" 110:93 (55:50), „ჟალგირისი" — „დინამო" (მოსკოვი) 98:96 (48:50), ცსკა — ვეფ-ი 136:93 (65:41), სტატიბა — ასკ 127:109 (68:55), რტი — „კალევი" 92:81 (56:51).

მდგომარეობა 15 თებერვლისთვის

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 19 | 1 | 2128—1594 | 39 |
| „ჟალგირ." | 15 | 5 | 1846—1785 | 35 |
| „დინ." მ. | 14 | 6 | 2103—1930 | 34 |
| „სპარტაკი" | 11 | 9 | 1647—1593 | 31 |
| „დინ." თბ. | 11 | 9 | 1692—1751 | 31 |
| ასკ კ. | 11 | 9 | 2015—2118 | 31 |
| „სტატიბა" | 10 | 10 | 1845—1855 | 30 |
| ვეფ-ი | 9 | 11 | 1930—1939 | 29 |
| „სტროიტ." | 7 | 13 | 1767—1854 | 27 |
| რტი | 6 | 14 | 1735—1785 | 26 |
| „კალევი" | 5 | 15 | 1678—1784 | 25 |
| „ლოკომ." | 2 | 18 | 1688—2176 | 22 |

**გუშინ** თბილისის „დინამო" შეხვდა ცსკას და დამარცხდა ანგარიშით 74:105 (46:46).

## ● ჭადრაკი

### ლიდერთა შეხვედრები

**ქუთაისი, 16 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის მასობრივი ტურნირის მონაწილეებმა გუშინ VI ტურის შეხვედრები გამართეს.

ლიდერების კ. შავგულიძე (ქუთაისი) — დ. გურგენიძის (საგარეჯო) შეხვედრა დაძაბულად მიმდინარეობდა და დაუმთავრებელი დარჩა. თამაში შეწყდა ეტლების დაბოლოებაში, სადაც უპირატესობა (ზედმეტი პაიკი) ქუთაისის ჩემპიონს აქვს.

დაზავდნენ ჯ. ბერაძე (წყალტუბო) — რ. კაპანაძე (თბილისი). გ. გიორგაძემ (ქუთაისი) ჯერ პაიკი, მერე პარტია მოუგო ი. პაპავაძეს (მცხეთა). თ. მესხი (ქუთაისი) დამარცხდა მ. ჭიპაშვილთან (თბილისი). წინა დღით მესხმა ყაიმით დაამთავრა გადადებული პარტია ი. სიფრაშვილთან (სიღნაღი). რ. ხოჭავამ (აფხაზეთი) სძლია ჟ. მზარელუას (ზუგდიდი), ა. ბლიუმგარდმა (ქუთაისი) — მ. მაკეიჩევს (კასპი), ი. მანაშეროვმა (ხაშური) — ნ. გელენავას (თბილისი).

6 ტურის შემდეგ ლიდერობენ: დ. გურგენიძე — 5 ქულა (1 გადადებული პარტია), ჯ. ბერაძე, გ. გიორგაძე — 5-5, კ. შავგულიძე — 4,5 (1), რ. კაპანაძე, ი. სიფრაშვილი, ი. მანაშეროვი, ა. ბლიუმგარდი, რ. ხოჭავა — 4,5-4,5, მ. ჭიპაშვილი — 4 (1).

**ზ. ბურკაძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

### ახალგაზრდებს შორის

**რიგაში** დამთავრდა სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატი. ყველას აჯობეს რიგელმა ე. კენგისმა და გორკელმა ა. ივანოვმა, რომლებმაც 9,5-9,5 ქულა დააგროვეს. 9 ქულით III ადგილს დაეუფლა ვ. ეინგორნი (ოდესა).

თბილისელმა ოსტატებმა გ. ზაიჩიკმა და ზ. აზმაიფარაშვილმა 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს. სამ დასკვნით ტურში ზაიჩიკი დაუზავდა ი. პოლოვოდინს (ლენინგრადი), დამარცხდა ივანოვთან და მოუგო ე. მაგერამოვს (ბაქო). ამ ტურებში აზმაიფარაშვილმა წააგო შეხვედრები ბ. გავრიკოვთან (მოლდავეთი), პოლოვოდინთან და ყაიმზე შეუთანხმდა ივანოვს.

მ. ჩიბურდანიძემ 5 ქულა მოაგროვა. ბოლო სამ ტურში მაია დაუზავდა ს. ლპუტიანს (ერევანი), მაგერამოვსა და ლ. იურტაევს (ფრუნზე).

## ● ბადმინტონი

### ჩემპიონატის ფინიში

**ხარკოვში** დამთავრდა ბადმინტონისტთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა ბელორუსიის წარმომადგენელს სვეტლანა ბელიასოვას.

მან ჯერ თავისი რესპუბლიკის გუნდის შემადგენლობაში გაიმარჯვა, შემდეგ უძლიერესი იყო ერთეულთა შორის, ამას გარდა ნ. მაქსაკოვასთან ერთად მოიგო წყვილთა ასპარეზობა და, ბოლოს, შერეულ წყვილთა ტურნირში ვერცხლის მედალი მოიპოვა მინსკელ ა. სკრიპკოსთან. ამ სახეობაში ჩემპიონები გახდნენ უკრაინის ნაკრები გუნდის წევრები ვ. შვაჩკო და ნ. ლიტვინჩევა. ვაჟთა შორის უძლიერესნი იყვნენ ა. სკრიპკო და კ. ვაგილოვ-ი. იახონოვის (დნეპროპეტროვსკი) „დუეტი".

## ● მძლეოსნობა

### მიღწევები

**მოსკოვში,** ძმები ზნამენსკების მძლეოსნურ მანეჟში სტარტი აიღო საბჭოთა კავშირის მორიგმა ზამთრის ჩემპიონატმა.

პირველივე დღეს 800 მეტრზე შეჯიბრებაში ორი საკავშირო მიღწევა დამყარდა. ქალებში გამარჯვებულმა ო. ვახრუშჩევამ (უკრაინა) 2.00,4 აჩვენა, ხოლო ვაჟებში უძლიერესმა ნ. კიროვმა (ბელორუსია) — 1.48,4.

---

# ნარევი

### აქტუალური თემა

ნიუ-იორკის კლუბ „კოსმოსის" გამგეობის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი იმ საახალწლო საზეიმო შეხვედრის მონაწილეების უსაფრთხოების შესახებ, რომელიც კლუბის შტაბ-ბინაში უნდა გამართულიყო.

სხდომის დროს მომხდარმა ამბავმა დაამტკიცა, რომ „კოსმოსის" ხელმძღვანელობას ტყუილად როდი ჰქონდა ეჭვი და შიში. მსახურმა გამგეობის წევრებს შეშფოთებით აცნობა, რომ ვიღაცამ შენობიდან მოიპარა... უშველებელი ნაძვის ხე.

### იშვიათი შემთხვევა

ინგლისის ფეხბურთელ ქალთა ერთ-ერთი კლუბის მესვეურებმა თხოვნით მიმართეს ეროვნულ ფედერაციას მოეწყო მატჩი რომელიმე ვაჟთა კლუბთან. ქალებმა უარი მიიღეს, მაგრამ მეტი დაჟინებით მოითხოვეს ვაჟებთან შეხვედრა.

თავიანთი განმეორებითი უარი ფედერაციამ ასე დაასაბუთა: — ჩვენ შეგვეძლო ამ მატჩის მოწყობა, მაგრამ მსაჯობის საკითხმა შეგვაფერხა. თუ ვაჟს დავნიშნავდით მსაჯად, ქალები უკმაყოფილონი იქნებოდნენ, თუ არა და პირიქით. ამიტომ ავდექით და ამ მატჩის მოწყობისაგან თავი შევიკავეთ.

## მხიარული ფანქრით



— მთავარია თავგზა აუბნიო მოწინააღმდეგეს!



უსიტყვოდ.

ვ. კუციას ნახატები.

---

## საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს მონაწილეთა საყურადღებოდ!

სპორტული ლატარიების რესპუბლიკური სამმართველო გაცნობებთ, რომ საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს ოლიმპიადა-80-ის ტურისტული საგზურების გაცემა, რომლებიც მოგებულია საერთაშორისო ოლიმპიურ სპორტლოტოს I, II, III, IV, V და VI ტირაჟებში, იწარმოებს 5-დან 30 მაისის ჩათვლით.

ამავე ვადაში გაფორმდება საგზურები, რომლებიც გათამაშდება VII ტირაჟში (იგი 19 მარტს შედგება).

მოქალაქენი, რომლებმაც მოიგეს, ანდა ხელთ აქვთ ცნობა მოგების შესახებ უნდა გამოცხადდნენ სპორტული ლატარიების რესპუბლიკურ სამმართველოში მოგებული ბილეთით და მიიღონ სპეცდავალება, რომლის მიხედვით ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო გასცემს ოლიმპიურ საგზურს.

პირებმა, რომლებიც საპატიო მიზეზით პირადად ვერ გამოცხადდებიან სამმართველოში ფასიანი წერილით და განცხადებით, უნდა მიმართონ სამმართველოს (მისამართზე: თბილისი — 19, ელიავას ქუჩა 26, „საქსპორტლოტო"), თხოვნით საგზურის გაგზავნის შესახებ, სადაც მითითებული იქნება მისამართი და საპასპორტო მონაცემები.

მოქალაქეებმა, რომლებმაც მოიგეს საგზური, მაგრამ ჯერ არ შეუტყობინებიათ სპორტული ლატარიების სამმართველოსთვის, აუცილებლად უნდა იჩქარონ მოგების გაფორმება და სამმართველოში განცხადება შემოიტანონ ან ფასიანი წერილით გამოგზავნონ მოგებული ბილეთის „ა" ნაწილი და გვაცნობონ გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი და საპასპორტო მონაცემები.

საგზურები, რომლებიც მოგებული იქნება VIII ტირაჟში, გაიცემა ტირაჟის შემდეგ 25 ივნისამდე.

„საქსპორტლოტო".

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 — 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 — უე 02068